

მეტყველების კულტურის საკითხები დიმიტრი ყიფიანის
„ახალ ქართულ გრამატიკაში“

ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიაში დ. ყიფიანის გრამატიკას¹ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მოცულობით ეს გრამატიკა დიდი არ არის, შეიცავს 199 გვერდს. აქედან 58 გვერდი (139—197) ლექსიკონია („შემოკლებული ლექსიკონი სიტყვებისა, რაც ძვირათლა იხმარება ქართულს ლაბარაკსა და წერაში; — ან რაც სხვა ენებიდამ არის შემოტანილი“). ლექსიკონი საკმაოდ საინტერესო მასალას შეიცავს და წარმოდგენს ამ წიგნის II ნაწილს. I ნაწილში კი (გვ. 5—137) გრამატიკაა მოთავსებული. წიგნს უძღვის ავტორის წერილი დ. ჩუბინაშვილისადმი (გვ. 1), ახლავს წინასიტყვაობა (გვ. 2—3), შემდეგ წარმოდგენილია ქართული ანბანის (მხედრულის, ასომთავრულისა და ნუსხურის) ცხრილები (გვ. 4); 5—12 გვერდებზე მოთავსებულია შესავალი. ზმნის მიმოხილვაში ჩართულია ზმნის უღვლილების ვრცელი ტაბულა.

ეს გრამატიკა 1882 წელს გამოვიდა, მაგრამ მისი შედგენა დ. ყიფიანს დაეკისრა უფრო ადრე, 60-იან წლებში; მართალია, იმ დროისათვის ქართული ენის რამდენიმე გრამატიკა არსებობდა (ზ. შანშოვანისა, ანტონისა, გაიოზისა, ვარლამ მიტროპოლიტისა, იოანე ქართველიშვილისა, იესე ჩუბინაშვილისა, ფირალოვისა, ს. დოდაშვილისა, დ. ჩუბინაშვილისა, პლ. იოსელიანისა), მაგრამ უკვე ძალიან იგრძნობოდა ახალი გრამატიკის საჭიროება, რადგანაც ძველი გრამატიკები ველარ აკმაყოფილებდნენ მოთხოვნილებას: მათი უმეტესობა ანტონის გრამატიკიდან ამოდიოდა, სალიტერატურო ენით იფარგლებოდა და პრაქტიკული დანიშნულებისა იყო (ამ გრამატიკათა ავტორების გაგებით, გრამატიკა სწორმეტყველებისა და მართლწერის შესწავლას უნდა ემსახურებოდეს!). მათი შესასწავლი მასალა — ძველი ქართული სალიტერატურო ენა — დიდად იყო დაშორებული ცოცხალი სასაუბრო

¹ დ. ყიფიანი, ახალი ქართული გრამატიკა სხარტულად დაწერილი მამისაგან შვილებისათვის, სანკტ-პეტერბურდი, 1882 წ.

აგებულების შესახებ. დ. ყიფიანის გრამატიკული ნააზრევის სრულად გათვალისწინებისათვის მის ცნობილ გრამატიკასთან ერთად საინტერესო მასალას იძლევა მისი კრიტიკული შენიშვნები დ. ჩუბინაშვილის მოკლე ქართული გრამატიკის გამო⁴.

არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ დ. ყიფიანის გრამატიკა სასკოლო-პრაქტიკულ გრამატიკათა შორის ერთგვარი გარდატეხის მომასწავებელია, რომ ამ გრამატიკაში ბევრი სიახლეა. ეს სიახლეები ძირითადად შეპირობებულია ამოსავალი თვალსაზრისის — გრამატიკის რაობისა და შესასწავლი ობიექტის — ახლებური გაგებით. პრაქტიკულ გრამატიკათა შორის დ. ყიფიანის გრამატიკა პირველი იყო, რომელშიაც ვრცლად იყო წარმოდგენილი მსჯელობა ამ საკითხების ირგვლივ.

დ. ყიფიანი ემიჯნება ე. წ. ტრადიციულ შეხედულებას, მისი აზრით, გრამატიკის მიზანი არის ენის თვისებების გაცნობა, ენის კანონთა შეკრება და ისეთი წესით დალაგება, რომ შესწავლა გაადვილებული იყოს (გვ. 11); გრამატიკა არის მოძღვრება ენის აგებულების, ენის კანონთა შესახებ. ამ კანონებს კი თვით ენა ქმნის.

უფრო ადრეც, დ. ჩუბინაშვილის გრამატიკის შესახებ დაწერილ რეცენზიაში, დ. ყიფიანი ნათლად წარმოგვიდგენს თავის აზრს: „გრამატიკა ენის კანონებს შეისწავლის, ცოცხალ ენას თავზე კი არ ახვევენ კანონებს, არამედ ის თვითონ იძლევა მათ. გრამატიკის მიზანია გამოარკვიოს ეს კანონები და არა უარყოს ისინი“⁵.

ტრადიციული შეხედულების მიხედვით კი გრამატიკა იყო სწავლა სწორად წერისა და სწორად მეტყველებისა, მის საგნად სწორმეტყველება და მართლწერა იყო გამოცხადებული, იგი მართლწერისა და მართლმეტყველების წესებს ადგენდა:

„ღრამმატიკა არს „შემძლებლობა მართლუბნობად და წესიერ წერად“, — აცხადებდა ანტონ კათალიკოსი⁶.

„ღრამმატიკა არს სწავლა თვისებისათვის და ხმარებათა ასოთა“, — წერდა გაიოზ რექტორი⁷.

გრამატიკა „არს მეცნიერება სწორად ლაპარაკისა და წერისა“, — ასეთია აზრი ვარლამ მიტროპოლიტისა⁸.

⁴ ვრცლად იხ. ალ. ცაგარლის წიგნში: *О грамматической литературе грузинского языка*, СП-ბ, 1873.

⁵ ა. ცაგარელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 60.

⁶ ანტონი, ქართული ღრამმატიკა, 1885, გვ. 1.

⁷ გაიოზი, ქართული ღრამმატიკა, კრემენჩუგი, 1889, გვ. 1.

⁸ ვარლამ მიტროპოლიტი, *Краткая грузинская грамматика*, СПб 1802, გვ. 2.

„ღრამმატიკა არს ჰსწავლა ჯელთმძღუანელი კანონებისა უზნობისა და მართლწერისადმი“, — ამბობს იოანე ქართველი⁹შვილი⁹.

„ქართული ღრამმატიკა ასწავებს კანონიერსა უზნობასა და წერასა ქართულად“, — გვასწავლის ს. დოდაშვილი¹⁰.

„ღრამმატიკა არს გამოცდილება კანონიერად ხმარებისათვის ენისა ვითარცა საუბარსა შინა, ეგრეთვე წერასა შინაცა“, — წერს გ. ფირალოვი¹¹.

„ღრამმატიკა ქართული ასწავებს კანონიერსა უზნობასა და წერასა ქართულად“, — ამბობს პლ. იოსელიანი¹².

დ. ყიფიანი კი აცხადებს, რომ გრამატიკის სასკოლო სახელმძღვანელო ენის აგებულებას, მის კანონებს უნდა შეისწავლიდესო.

დ. ყიფიანის გრამატიკა გამოირჩევა იმითაც, რომ აქ არის მსჯელობა პრაქტიკული გრამატიკის შესასწავლი ობიექტის შესახებ, გარკვეულია, თუ რა მასალას უნდა ემყარებოდეს თანამედროვე ენის გრამატიკა.

ანტონსა და მის მომდევნო გრამატიკოსებს ქართული გრამატიკის შესასწავლ ობიექტად ძველი ქართული ენა აქვთ მიჩნეული. ისინი უარყოფენ ენის განვითარებას, — ენა უცვლელია, უცვლელია მასში მოქმედი კანონებიც. ამიტომ საკმარისია ერთი გრამატიკა და არაა საჭირო სხვადასხვა ეპოქაში ენას სხვადასხვა გრამატიკა დაეწეროსო.

გრამატიკის მიზნისა და შესასწავლი ობიექტის გაგების შეცვლა მხოლოდ დ. ყიფიანის სახელთან როდია დაკავშირებული. ეს მოხდა XIX ს. 60-იან წლებში: ქართული გრამატიკის შესასწავლი ობიექტი — ძველი ქართული — ახალი ქართულით შეცვალა დ. ჩუბინაშვილმა¹³. თუმცა თვით დ. ჩუბინაშვილი არაფერს ამბობს ამის თაობაზე, მაგრამ ჯერ კიდევ ალ. ცაგარელმა აღნიშნა, რომ ეს გრამატიკა ძირითადად არის ახალი სალიტერატურო ენის გრამატიკა.

⁹ იოანე ქართველიშვილი, ქართული ღრამმატიკა, თბილისი, 1825, გვ. 1.

¹⁰ ს. დოდაშვილი, შემოკლებული ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1850, გვ. 1.

¹¹ გ. ფირალოვი, თვითმასწავლებელი, სნკტპზ, 1820, გვ. 22.

¹² პლ. იოსელიანი, პირუტყლდაწყებითი კანონნი ქართულისა ღრამმატიკისა, ტფილისი, 1831, გვ. 5.

¹³ დ. ჩუბინაშვილი, Краткая грузинская грамматика Д. Чубинова, СПб, 1855.

ცნობილია, რომ მარი ბროსესაც თავის 1834 წლის გრამატიკაში ფართოდ აქვს გამოყენებული ახალი ქართულისა და სასაუბრო ენის ფაქტობრივი მასალა, მაგრამ მისი გრამატიკა სხვა რიგის ნაშრომია — ის არ არის სახელმძღვანელო (იხ. არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენების შესწავლის ისტორია, გვ. 136).

მაგრამ მაინც ძირითადად და არა მთლიანად. დ. ჩუბინაშვილს (სარეცენზიო ცალში მაინც) ბევრი ილუსტრაცია ჰქონდა ძველი ქართული ძეგლებიდანაც და ბევრი არქაული ფორმაც ჰქონდა გაანალიზებული.

დ. ყიფიანმა ამ წიგნის რეცენზიაში (1853 წ.) მკვეთრად გახაზა, რომ თანამედროვე ენის გრამატიკული აგებულების შემსწავლელ სახელმძღვანელოს ამოსავლად უნდა ჰქონდეს თანამედროვე სალიტერატურო ენა და მის კანონებს შეისწავლიდეს, არც ძველი ქართულისა და არც დიალექტების ფაქტები აქ მოსატანი არ არისო.

ეს პოზიცია სავსებით მართებული იყო.

ცნობილია, რომ გრამატიკის რაობისა და ობიექტის საკითხზე მსჯელობა გაიშალა 60-იანი წლების ქართულ პრესაში¹⁴. პირველად ეს საკითხი დააყენა ალ. ჯამბაყურ-ორბელიანმა 1960 წ. „ცისკრის“ № 6-ში გამოქვეყნებულ წერილში: „ქართული უბნობა ანუ წერა“. თუმცა ალ. ორბელიანი სამი სტილის საკითხში ანტონის მიმდევარი იყო, მაინც გრძნობდა სამი სახის ენის უხერხულობას და მოითხოვდა წერასა და ლაპარაკში ერთი ენის შემოღებას. გრამატიკის ობიექტად ის მიიჩნევდა არა ძველი ქართული საეკლესიო მწერლობის ენას, არამედ საშუალო საუკუნეების საერო მწერლობის ენას. ე. ი. ქართული ენის გრამატიკას „ვეფხისტყაოსნისა“ და ჩახრუხაძის ენა უნდა შეესწავლა და არა სახარებისა. გრამატიკის ობიექტის თუნდაც ასეთი შეცვლა იყო წინგადადგმული ნაბიჯი ქართულ გრამატიკულ აზროვნებაში. ამ მოსაზრების ავტორი მოითხოვდა, რომ ახალი ობიექტის შესაბამისად შექმნილიყო ახალი, „შემოკლებული“, „სწორი“ გრამატიკა. ასეთი გრამატიკის სასურველ შემდგენლად მან, როგორც აღვნიშნეთ, დ. ყიფიანი მიიჩნია.

მაგრამ სანამ დ. ყიფიანი თავის გრამატიკას გამოაქვეყნებდა (1882 წ.), ქართული პრესის ფურცლებზე მიმდინარეობდა მსჯელობა გრამატიკის რაობისა და მისი შესასწავლი ობიექტის შესახებ. თანდათან უფრო ნათლად გამოიკვეთა აზრი, რომ ენა იცვლება და, რადგან იგი ცვალებადია, ცვალებადი უნდა იყოს მისი შემსწავლელი მეცნიერებაც — გრამატიკაც.

დ. ბაქრაძის აზრით, გრამატიკის კანონები ენის თვისებებს უნდა გამოხატავდნენ, მაგრამ, რადგან ენა იცვლება, ვითარდება, ძველ საფუძველზე შედგენილი კანონები თანამედროვე ენის გრამატიკისათვის აღარ გამოდგება. ამიტომ ვერ დაეუბრუნდებით „ვეფხისტყაოსნის“ ენას, რადგან მის შემდეგ ერი წინ წავიდა, ენა განვითარდა. ამიტომ

¹⁴ ნ. აბესაძე, გრამატიკის საკითხები XIX საუკუნის ქართულ პერიოდულ გამოცემებში, თბილისი, 1960.

უნდა ვემყარებოდეთ ცოცხალ ენას, საჭიროა „ცხოველი საზოგადო დარბაისლური ენის შესწავლა“¹⁵.

ანტონ ფურცელაძეც ცნობდა ენის ცვალებადობას, ენის განვითარებას და რადგანაც, მისი აზრით, „გრამატიკა არის ერთი ამოგანი — ან ხელოვნება ან მეცნიერება“, ისიც უნდა იცვალოს, „დროის განმავლობაში“ ესეც მიეცემა ცვლილებასო. იცვლება ობიექტი — ენა, უნდა შეიცვალოს მისი შემსწავლელი მეცნიერება — გრამატიკა¹⁶.

დავით ყიფიანი გრამატიკის ახალ განსაზღვრებას იძლეოდა („გრამატიკა ენის კანონების რიგზე დაწყობილი კრებაა“) და გრამატიკის ობიექტად ახალ სალიტერატურო ენას აცხადებდა¹⁷.

ენისა და მისი შემსწავლელი მეცნიერების — გრამატიკის — შესახებ ყველაზე უფრო რადიკალური და თანმიმდევრული შეხედულება, როგორც ცნობილია, წამოაყენა ი. ჭავჭავაძემ ძველსა და ახალ თაობას შორის გამართულ ცნობილ პოლემიკაში. ილიას აზრით, ენა „იზრდება და ვითარდება“, იცვლება მასში მოქმედი კანონები: კანონები, ერთ დროს საჭირონი, სხვა დროს უვარგისნი არიან ხოლმე. ენის კანონები ცოცხალ მეტყველებაში, ამ ენაზე მოუბარ ხალხში იქმნება; ეს კანონები თვით ენაში უნდა ვეძებოთ, „ენას კანონს თვითვე ენა აძლევს და არა თეორეტიკა“. ამიტომ არ კმარა, რომ გრამატიკა სწავლობდეს მხოლოდ ცოცხალ ენას, გრამატიკის ობიექტი სალიტერატურო ენასთან ერთად ცოცხალი მეტყველებაცაა, — ასეთია ილიას კონცეფცია.

ენის ცვალების, ენისა და გრამატიკის ურთიერთმიმართების საკითხებში დ. ყიფიანი ილიას თვალსაზრისზე დგას: ენა იცვლება და გრამატიკა არ უნდა დაშორდეს, არ უნდა ჩამორჩეს მას. იგი ასე მსჯელობს: „როგორც ახლანდელი მეცნიერება გვიმტკიცებს, მთელს მსოფლიოში უძრავი არა არის რა; არა არის რა გაჩენილი ისეთი, რომ ან წინ არ მიდიოდეს, ან უკან არა რჩებოდეს, — ენაც ამგვარს — დაუცხრომელ მოძრაობაში არის... თუ რომ კაცი დროს არ მიჰყვა და თავის ცოდნაც თან არ მიადევნა, იმისთანა საქმე დაემართება, რაც ამ ბერძნულ გრამატიკას დაემართა: დრო დაუდგა ისეთი, რომ აღარავინ სწერდა ისე, როგორც ლაპარაკობდნენ და აღარავინ ლაპარაკობდა ისე, როგორც სწერდნენ. სამწიგნობრო და სასაუბრო კილოები მეტად დასცილდნენ ერთმანეთსა და სხვადასხვა გზას გაუდგნენ. როგორცა,

¹⁵ დ. ბაქრაძე, წიგნი მიწერილი ალ. ჯამბაყურ-ორბელიანისადმი შესახებ მისის „ქართული უბნობისა ანუ. წერისა“, „ცისკარი“, 1860, № 8, გვ. 326.

¹⁶ ულოლიკო (ანტ. ფურცელაძე), ორიოდ სიტყვა უ. დავით ყიფიანის სტატიასზედ „გრამატიკის შესამუშავებელ მასალებად“, „ცისკარი“, 1863, № 9, გვ. 74

¹⁷ დავ. ყიფიანი, „რიგიანი ქართული გრამატიკის შესამუშავებელ მასალებად“, „საქართველოს მოამბე“, 1863, № 3, გვ. 72.

ვთქვათ, ახლანდელი სასაუბრო და ძველი სამწიგნობრო ქართული, ან როგორც რუსული და სლავენური: ძველი და ახალი ბერძნული ხომ — ერთი აღთას მიდის, მეორე ბალთას“¹⁸.

— ე. ი. გრამატიკა ცოცხალ ენას უნდა შეისწავლიდეს, მის კანონებს უნდა ასახავდეს, — ამ თვალსაზრისიდან ამოღის დ. ყიფიანი. როგორც შენიშნავენ, ეს იყო წინ გადადგმული ნაბიჯი გრამატიკულ აზროვნებაში. ამიტომაც არის მის წიგნში ბევრი სიახლე წინამორბედ გრამატიკებთან შედარებით. მაგრამ რას გულისხმობს ეს ცოცხალი ენა, ობიექტი რომ უნდა იყოს გრამატიკისა? ეს გახლავთ იმდროინდელი სალიტერატურო ენა, რომელიც საერთო სახალხო ენას ეყრდნობა. გრამატიკაში დ. ყიფიანი წარმოადგენს სახელის ბრუნებისა და ზმნის უღვლილების ისეთ პარადიგმებს, რაც მის თანამედროვე სალიტერატურო ენაში გამოიყენება (თუმცა ზოგჯერ პარალელურად იძლევა ძველი ქართულის, ან როგორც თვითონ უწოდებს, ისტორიული ან სამწიგნობრო ენის პარადიგმასაც).

დ. ყიფიანს არ ლაღატობს ზომიერების გრძნობა და ის მტკიცედ იცავს სალიტერატურო ენის იმდროინდელ ნორმებს, დაუშვებლად მიაჩნია დიალექტური ფორმების შემოტანა სალიტერატურო ენაში.

მისი ყურადღების გარეშე არ რჩება სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებული საორჟოფო საკითხები და სრულიად ნათლად აყალიბებს სადავო ფორმათაგან სწორი ფორმების გამოკვეთისა და ხმარების წესებს. ასე, მაგ.: ა და ე ბოლოხმოვნიან სახელთა კვეცის წესები ასეა ჩამოყალიბებული: ა და ე ხმოვანი იკარგება მხოლოდითი რიცხვის ნათესაობითში, მრავლობით რიცხვში კი ყველგან იკარგება ა და არსად არ იკარგება ე (მთა — მთ-ის-ა, კლდე — კლდ-ის-ა, მაგრამ მთ-ებ-ი, კლდე-ებ-ი). იქვე ავტორი მარჯვედ გამოკვეთს გამონაკლისებს ამ წესებიდან: ა და ე არ უნდა შევკვეცოთ, როცა გვაქვს ადამიანის საკუთარი სახელი (მართა, პეტრე), მცენარის, მწერის, ცხოველის სახელი (გვირილა, კრაზანა, თრითინა...), ზელობის სახელები (მენავე, მეველე), რთული სიტყვები (ძირმწარე, ღობემძვრალა, შავთვალა)...

შენიშნულია ისიც, რომ ბოლოუკვეცელ სახელებში „ნათესაობითის -ხა-ს მაგივრად ემატება -სი“ (ოქრო-სი, ბუ-სი, პავლე-სი).

სახელების კუმშვის შესახებაც სავსებით მართებული წესია შემუშავებული: მრავალმარცვლიანი სახელები, რომლებიც ბოლოვდება მარცვლებზე:

ალი, ამი, ანი, არი

ელი, ემი, ენი, ერი

ოლი, ომი, ონი, ორი — ხმოვანს კარგავენ. ზოგჯერ კი ო და ე

¹⁸ დ. ყიფიანი, ახალი ქართული გრამატიკა, გვ. 9—10.

ვ-ს გვაძლევს (მშვენიერად, გონივრული, ნიერის...). ავტორი ჩამოთვლის სახელებს, რომლებიც გამოხატავენ ქმნიან ამ წესიდან (ბიწიერი, გამცემი, გადამწერი, დამდნარი, მკბენარი, საქციელი, ხრინწიანი...) (გვ. 36).

საგანგებოდ ჩერდება დ. ყიფიანი იმ ფაქტზე, რომ ორი სახელი: **ღმერთი** და **ხუცესი** იბრუნება თავისებურად (გვ. 42).

დ. ყიფიანი „ნაკრეფი, საკრეფის“ ან „ნადგამი, სადგამის“ გვერდით ასახელებს, ე. ი. დასაშვებ ფორმებად მიიჩნევს -**დი** სუფიქსით ნაწარმოებ სახელებს: ფშენადი, შობადი, დგმადი, კრეფადი, გმობადი, წყობადი, ყოფადი, მყოფადი, რწყვადი, დგომადი, ჭამადი, შეჭამადი, პარვადი, მოპარვადი (გვ. 44—45). ეს ფორმები განსაკუთრებით საინტერესოა დღევანდელი სიტყვაწარმოების თვალსაზრისით. ცნობილია, რომ დღევანდელ სიტყვახმარებაში, განსაკუთრებით კი ტექნიკურ ტერმინოლოგიაში, საჭირო გახდა და გამოყენებულიც იქნა -**დ** ფორმანტით ნაწარმოები ტერმინები: შენებადი და მისთ.

ბუნებრივია, ბევრი საინტერესო ფაქტია წარმოდგენილი ზმნების შესახებ მსჯელობაშიც. როგორც შენიშნავენ, ვერც ერთი ძველი გრამატიკოსი ისე ღრმად ვერ ჩასწვდა ქართული ზმნის თავისებურ ბუნებას, როგორც დ. ყიფიანი.

მაგრამ ყველაფერი ეს დ. ყიფიანის გრამატიკაში წარმოდგენილი ენის გრამატიკული დახასიათების ორგანული ნაწილია და ყოველივე ამის შესახებ ჩვენ სხვაგან ვისაუბრებთ დაწვრილებით. აქ კი გვინდა წარმოვაჩინოთ ის საკითხები, რომლებიც დ. ყიფიანის მიერ დასმულია მეტყველების კულტურის ასპექტით, ე. ი. საკითხები, რომელთა გათვალისწინება აუცილებლად მიაჩნია სალიტერატურო ენის სიწმინდის დასაცავად.

1. დ. ყიფიანის აზრით, სავალდებულოა ენის კანონები, შემუშავებული გრამატიკის მიერ, ტარდებოდეს, სრულდებოდეს, არ ილახებოდეს. საჭიროა გვექონდეს ერთი დადგენილი წესი და ყველა მივდევდეთ მას. „როგორც ყოველი სამოქალაქო ან საპოლიტიკო კანონი იმისთვის იწერება, რომ საზოგადოებაში რიგი დაწესდეს ვნებათა-დამაცხრობელი, დამამშვიდებელი და მართლმსაჯულებით კაცობრიობის სიცოცხლის განმავითარებელი, — გრამატიკის კანონებიც განსაკუთრებულად იმისთვის იწერება, თვითონ ენის თვისებათაგან გამოკრებილი, რომ სიტყვიერებაში რიგი დაწესდეს უკმეხობის გამდევნელი, ყურთასმენის დამატკბობელი და მართლმოუბრობით ენის განმარტვინებელი“¹⁹.

ამ სიტყვებიდან ნათელია, რომ დ. ყიფიანი მომხრეა სალიტერატუ-

¹⁹ დ. ყიფიანი, ახალი ქართული გრამატიკა, გვ. 61.

ტურო ენაში სადავო საკითხების მოგვარებისა, ერთიანი, ყველასათვის სავალდებულო წესების დადგენისა და განმტკიცებისა. სალიტერატურო ენისათვის სავალდებულო წესები მას კანონის დონემდე აჰყავს. ეს წესები სავალდებულო უნდა იყოს ყველასთვის, ვინც ქართულად მეტყველებს ან წერს. ეს იყო დ. ყიფიანის მიერ სალიტერატურო ენის ხორმების საკითხის დასმა. საკმაოდ მკაფიოდ, მკაცრად, პირდაპირ. დღეს, როდესაც ამ საკითხებს სახელმწიფო უვლის, მათი მოგვარება რაიმე განსაკუთრებულ სიძნელეს არ შეიცავს, მაგრამ იმ პერიოდში, როდესაც ეს წიგნი გამოქვეყნდა — რუსიფიკატორული პოლიტიკის, რეაქციის მძლავრობისა და ბატონობის ხანაში — ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის ბრძოლა, სალიტერატურო ენის დასახვეწად ზრუნვა ადვილი არ ყოფილა.

2. დ. ყიფიანი ყურადღებას აჩერებს მართლწერის, ორთოგრაფიის ზოგ საკითხზე. სახელდობრ, ტერმინ **გრამატიკასთან** დაკავშირებით ბერძნული გ-ს ქართულად გადმოცემის შესახებ შენიშნავს, რომ შეცდომაა აქამდე ყველა გრამატიკოსის მიერ ნახმარი ტერმინი „**ღრამ-მატიკა**“, რადგან „სიტყვა... ბერძნულია და **ღ** არც ანბანში არის ბერძნულსა და ლათინურში, არც ენაში. რომ ვლასპარაკობთ: ღენერალი, ღუბერნატორი, ღეოღრაფია, ღეოლოღია, — არც ერთი არ არის სწორე: ყოველგან „**გ**“ უნდა იყოს „**ღ**“-ს მაგიერ“ (გვ. 10). დ. ყიფიანი ამ შემთხვევაში უგულუბელყოფს ტრადიციის პრინციპს და საკმაოდ კატეგორიული ტონით წერს: „მაინცა და მაინცა ყური შეჩვეული გვაქვსო და ისევ **ღ**-თა ვსწეროთო, იქნება სთქვან; დიად კარგი და პატიოსანი; — მაგრამ მართლწერასაც თავისი კანონები აქვს და კანონის დარღვევას ხომ სასჯელიც დაჰყვება ხოლმე“ (გვ. 10—11).

ამ საკითხზე მსჯელობისას კიდევ ერთი საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული დ. ყიფიანს. სახელდობრ, იგი წერს: „თუ ბერძნული ან ლათინური სიტყვების წერაში „**ყ**“ და „**გ**“-ის მაგიერად „**ღ**“ ვიხმარეთ როდისმე, ბარემ დავადგეთ ამასა და ბოლომდე აგრე ვიაროთ; ე. ი. ყოველი ამ ენებიდამ მიღებული სიტყვა, სადაც ეს ასო იხმარება, სულ ერთნაირათა ვსწეროთ: ღეორღი და არა გიორგი; ღრიღოღ და არა გრიგოღ; ღაბრიღელ და არა გაბრიღელ; ეღნატე; ღეოღრაფია, ღეღემონია და სხვ.“²⁰. ე. ი., თუ რაიმე ფაქტისათვის გარკვეულ წესს მივიღებთ, ის უნდა გატარდეს თანმიმდევრულად ყველა მსგავს შემთხვევაში.

და კიდევ ერთი რამ იქცევს ყურადღებას ამ ტერმინთან დაკავშირებით: როდესაც დ. ყიფიანი ძველ გრამატიკებს ასხენებს ან იმოწმებს

²⁰ დ. ყიფიანი, ახალი ქართული გრამატიკა, გვ. 11.

(თუ მათ შესახებ მსჯელობს), იგი ყოველთვის იცავს ძველ მართლ-
წერას: ღრამმატიკა, ღრამმატიკოსი.

ასეა მაგ., გვ. 18: „სახელი თვისებითი... რომელსაც ძველ ღრამმა-
ტიკებში ერქვა ზედშესრული“.

გვ. 22: „ამ ოთხს გარდა ძველ ღრამმატიკებში იყო კიდევ ოთხი
ბრუნვა“.

გვ. 26: „არის კიდევ ერთი სახე მრავლობითის ბრუნვისა, რომელ-
საც ძველი ღრამმატიკოსებიცა ხმარობდნენ“ და სხვ.

მაგრამ სხვა შემთხვევაში მხოლოდ გრამატიკას ხმარობს.

ცალკეულ სიტყვათა მართლწერის შესახებ ზოგჯერ ავტორი ფა-
ქიზ შენიშვნას აკეთებს და ძირითად მსჯელობას არ არღვევს: მაგ.:
126-ე გვერდზე ჩამოთვლის ჩვენებით ნაცვალსახელებს: აქ, იქ, მანდ...
ასე და ფრჩხილებში დაუერთავს: „ასე (და არა ესე)“.

3. დ. ყიფიანი სრულიად სამართლიანად მიუთითებს ქართულ ან-
ბანში ზოგი ზედმეტი ასოს შესახებ. ესენია: შ, ძ, ჯ, ჯ, შ. იგი წერს:
„მე ამასაც გავბედავ და ვიტყვი, რომ რამდენიმე ასო მეტიც არის...
თუ არ ანგარიშისთვის, არას შემთხვევაში არც ერთი ამ ასოთაგანი სა-
ჭირო არ არის და სულ რომ გამოირიცხებოდნენ, — ჩვენი ანბანის
დიდ ღირსებას მიემატებოდა ასოთ რიცხვის შემცირება, და მართლ-
წერის ძალიან გაადვილება“ (გვ. 12)²¹.

4. ერთი შეხედვით უცნაური ჩანს, რომ დ. ყიფიანი, რომელიც
დაუცნობლად იბრძვის სიმარტივისათვის, თავის გრამატიკაში იყე-
ნებს ასომთავრულ ასოებს. წინასიტყვაობაში იგი ასე ხსნის ამ ფაქტს:
„სხვა არა იყოს რა, თვალათვის მაინც დიდად სამძიმო არის სტრი-
ქონების ისეთი ერთნაირი ვაბმა, რომ შესასვენებელი აღარც სად
წერტილი ჩანდეს და აღარც სად მომსხო ასო, წვნივი ასოებისაგან გა-
სარჩევი“. ამიტომ მას უთხოვია, რომ ევროპული მართლწერის შესა-
ბამისად „მომსხო ასოები ხმარებულყო“, მაგრამ რადგან ეს ტექნი-
კურად მოუხერხებელი აღმოჩენილა, გამოუყენებიათ ასომთავრული,
რაკი ხალხს დავიწყებული აქვს ძველი ასომთავრული და ნუსხური
(ხუცური) ანბანი, შესახსენებლად ამ ანბანთა ცხრილებსაც წარმო-
ადგენს ავტორი (გვ. 4).

5. დ. ყიფიანი ყურადღებას აქცევს ზოგი ფორმის უმართებუ-
ლოდ ხმარებას. მაგ.: იგი აღნიშნავს, რომ ქართულში ორგვარი მრავ-
ლობითია: ახლანდელი (-ებ-იანი) და სამწიგნობრო (ნარ-თანინი).
ზოგი სახელი სამწიგნობრო კილოს ფორმებს იწარმოებს (მაგ.: ერთნი,
ათნი, ასნი...) და მათთვის უცხოა ახლანდელი მრავლობითის ფორმე-

21 ამ ასოთა ამოღების საკითხს უფრო ადრე სვამდა დ. ყიფიანი.



მართლებს... სადაური გრამატიკით იქნება გასამართლებელი ან რა საჭიროებით?“²³.

ასეთივე კატეგორიულობით მოითხოვს იგი, აღიკვეთოს სალიტერატურო ენაში ნაწილაკიან სახელთა უმართებულო, დიალექტური სახით ხმარება:

დ. ყიფიანი მომხრეა, რომ ნაწილაკები (-ლა, -ცა, -მე, -ვე) ბრუნვის ნიშნის შემდეგ ვიხმაროთ. „ეს ბოლონდელი მარცვლები: „**ლა, ცა, მე, ვე**, — როგორცა ვჰხედავთ, ბრუნვის ცვლილებას კი არ უშლიან, — ყოველთვის თან მიჰყვებიან ისე უცვლელად, როგორც დასახელებითს ბრუნვებს: „ვისილა, რამაცა, რომელმამე, ამითვე...“

რაც შეეხება **ვისმესი, ვისმესთან, რისმესაგან** და მსგავს ფორმებს, ისინი გრამატიკის ავტორის აღშფოთებას იწვევს. ისინი მას დიალექტიზმებად მიაჩნია: „მთელი დასავლეთ საქართველოს ხალხი დანებისა და ძმანებისა არ იყოს, — მაგ ჩვეულებას ადგია“, ხოლო ავტორისავე აზრით, „გრამატიკის წინაშე ისეთი დიდი უკანონოება არის ამგვარი სახე, ამგვარი ფორმა ქართული სიტყვიერებისა, რომ ვისაც კი უკანონოება არ უყვარს, უსათუოდ უნდა ერიდებოდეს“²⁴.

ასე შეუპოვრად იცავს დ. ყიფიანი სალიტერატურო ენის სიწმინდეს და დაუშვებლად მიიჩნევს დიალექტიზმთა შემოჭრას სალიტერატურო ენაში.

7. არანაკლები სიმკაცრით მოითხოვს დ. ყიფიანი სალიტერატურო ენის დაცვას ვულგარიზმებისაგან. საკმაოდ შეშფოთებული კილოთი წერს იგი: „რომელი ქართველი იტყვის, თუ რიგიანად დაუფიქრდა საქმესა, რომ ლაპარაკის შეუფერხებლად მიმდინარეობისათვის კინტოების უკანონო კილო სჯობდეს — წმინდა ქართულს კილოსა? რომელი იტყვის: საათის ხუთზე, საათის მეოთხეზე, ერთი ვისმესგან თუ ვინმესგან, ერთს რასმეზე დანაშაული ვარ: ერთ ვინმემ მომატყუალა; ორთავენი ვიყავით? პავლემ წავიდა“, ვინ იტყვის, რომ ამისთანა ლაპარაკი ჰსჯობდეს რაშიმე კანონიერსა: ხუთ საათზე, მეოთხე საათზედ, ვისგანმე, ვისთანმე; ვისთვისმე, რაზედმე, დანაშაული მაქვს ან დამნაშავე ვარ, ერთმა ვინმე მომატყუა, ორნივე ვიყავით“²⁵.

8. დ. ყიფიანს სრულიად სამართლიანად მიუქცევია ყურადღება **აღიარებს** ზმნისათვის, რადგანაც ამ ზმნის ხმარება გარკვეულ სიძნელებებს შეიცავს; როგორც თვითონ წერს, ეს ზმნა „თავისთავად დიად

23 დ. ყიფიანი, ახალი ქართული გრამატიკა, გვ. 26—27.

24 იქვე, გვ. 60—61.

25 იქვე, გვ. 61.

კანონიერია, მაგრამ ზოგიერთს ახლანდელ მთხზველებს კი ძალიან უჭირვებს საქმეს²⁶.

არა თუ ამ ასი წლის წინათ, როცა დ. ყიფიანის გრამატიკა იწერებოდა, არამედ ამ ბოლო ხანებამდეც, სანამ ოფიციალურად დადგენილი იქნებოდა და გამოქვეყნდებოდა სავალდებულო ნორმები, სადავოდ იყო მიჩნეული, თუ რომელი ფორმაა სწორი — აღ-ვ-იარებ თუ ვ-აღ-იარებ. აღ-მ-იარებია თუ მ-ი-ღ-იარებია...

დ. ყიფიანს ენის ეს სირთულე არ გამოორჩენია და წიგნის 123-ე გვერდზე წარმოუდგენია სრული პარადიგმა ამ ზმნის უღვლილებისა. იგი მომხრეა, პირის ნიშანი ვიხმაროთ პრევერბის შემდეგ: აღ-ვ-იარებ. პარადიგმაში შემდეგი ფორმებია წარმოდგენილი: აღვიარებ, აღიარებ, აღიარებს; აღვიარებდი, აღიარებდი, აღიარებდა; აღვიარე, აღიარე, აღიარა; აღვიარო, აღიარო, აღიაროს; აღმიარებია, აღვიარებია, აღუარებია; აღვიარებდე, აღიარებდე, აღიარებდეს; აღმეარებინოს, აღგეარებინოს, აღეარებინოს; აღიარე, ნუ აღიარებ, არ აღიაროს. გერუნდი: „აღსარება“; გერუნდივი: „სააღსარებო“; სუბინი: აღსარებლად, აღსაარებად; მიმღეობა ახლანდელი: აღსაარებელი (რომელიც სათქმელი იყო და არისცა), აღმსაარებელი (რომელსაც უნდა ეთქვა, ან უნდა ეთქვას); აღმსარებელი (რომელსაც უთქვამს ან ამბობს); გავლილი; აღსარებული (თქმული); მომავალი: სააღსარებო, აღსარებადი.

როგორც ვხედავთ, თავის გრამატიკაში, რომელსაც მიზნად უსახავს ქართული ენის აგებულების ჩვენებას, ენობრივ კანონთა გამოვლენას, დ. ყიფიანს ყურადღების გარეშე არ რჩება სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანაც.

დ. ყიფიანი ქართული სალიტერატურო ენის დახვეწისა და მონოლითურობის მომხრეა, იღვწის ამისთვის და იბრძვის ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დასაცავად, სალიტერატურო ენის კანონთა თანმიმდევრობისა და ერთგვარობისათვის.

26 დ. ყიფიანი, ახალი ქართული გრამატიკა, გვ. 123.